დაუყოვნებელი გავრცელებისთვის
თბილისი, 15 ნოემბერი, 2012

პრეს რელიზი

საქართველოს კიბერ უსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების V საიუბილეო რეგიონული კონფერენცია/გამოფენა და IT ინოვაციების დაჯილდოება (GITI 2012)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ რიგით მე-5 საიუბილეო ყოველწლიური რეგიონული კონფერენცია (გამოფენა, დაჯილდოება) იმართება, რომლის მთავარი თემაა კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებები. კონფერენცია წლის საუკეთესო IT პროექტების ავტორთა დაჯილდოების ცერემონიალით 17 ნოემბერს დასრულდება.

ღონისძიებას გახსნის საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **დავით ჯანდიერი.** კონფერენციის მონაწილეებს გახსნითი სიტყვით ასევე მიმართავენ ICT ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტი **გიგა შუბითიძე**, ავსტრიის ელექტრონული მმართველობის ფედერალური აღმასრულებელი მდივანი **კრისტიან რუპი** და თურქეთის პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციული განვითარების ხელმძღვანელი **არსლან ავსარბეი.**

წლევანდელი კონფერენცია, რომლის დევიზია „ინფორმაციული ტექნოლოგიები მომავლისთვის“, რეკორდული რაოდენობის მონაწილეებს მასპინძლობს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულია მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი, რომელიც განიხილავს კიბერ უსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საკითხებს, წარმოადგენს წლის განმავლობაში შემუშავებულ ინოვაციურ IT პროექტებს და გაეცნობა აღნიშნული მიმართულებით ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მიღწეულ წარმატებებს.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა როგორც საქართველოში, ისე რეგიონში ელექტორნული მმართველობის განვითარების პროექტებს, ასევე ამ პროექტებში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესს.

„წლევანდელი ღონისძიება საიუბილეოა. ხუთი წლის მანძილზე ყოველი ახალი კონფერენცია განვითარების ახალ საფეხურზე გადადიოდა. დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით გამართული ღონისძიება იფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც თავს უყრის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სფეროში

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შესახებ: მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით 2010 წლის 4 იანვრიდან დაიწყო მუშაობა. სააგენტოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების კოორდინირება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი გატარება.

ICT ბიზნეს საბჭოს შესახებ: საბჭოს მიზანია საქართველოში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
მამუკა კახნიაშვილი - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი
ტელ: (+995 32) 291 51 40 (777); მობ: (+995 577) 62 04 03
ელ.ფოსტა: mkakhniashvili@dea.gov.ge

ICT BUSINESS COUNCIL

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების წამყვან მოთამაშეებს, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს.“ - აღნიშნავს **გიგა შუბითიძე**, ICT ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტი.

კონფერენციის მე-3 სამუშაო დღე მთლიანად დაეთმობა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს. კიბერ უსაფრთხოების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამ მიმართულების მსოფლიოში აღიარებული ექსპერტი **ურს ფიშერი.**

„ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება წარმოუდგენელია ინფორმაციული უსაფრთხოების გადაწყვეტილებების განვითარების გარეშე. დღეისათვის საქართველო ელექტრონული მმართველობის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ იქმნება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არაერთი მომსახურება და ამით მარტივდება და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადადის სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობა. ეს პროცესი კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან. ამდენად, კონფერენციას ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთანავე, როგორც ელექტრონული მმართელობის, ისე ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

კონფერენცია ტრადიციულად დაჯილდოების ცერემონიალით დასრულდება. წელს 15 ნომინაციაში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან 50-მდე პროექტია წარმოდგენილი.

გასულ წელებში ანალოგიურ კონკურსში არაერთი გამარჯვებული გამოვლინდა: 2011 წელს გრან-პრის მფლობელი გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ელექტრონული ID ბარათების. 2010 და 2008 წლებში გრან-პრის მფლობელი გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. 2009 წელს კი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

GITI 2012-ის განსაკუთრებული მხარდამჭერია USAID-ის პროექტი ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა (EPI), ასევე NATO-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა.

სპონსორები: HP, Microsoft, Cisco, Oracle, UGT, Orient Logic, Janus.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შესახებ: მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით 2010 წლის 4 იანვრიდან დაიწყო მუშაობა. სააგენტოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების კოორდინირება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი გატარება.

ICT ბიზნეს საბჭოს შესახებ: საბჭოს მიზანია საქართველოში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
მამუკა კახნიაშვილი - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი
ტელ: (+995 32) 291 51 40 (777); მობ: (+995 577) 62 04 03
ელ.ფოსტა: mkakhniashvili@dea.gov.ge